პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 205 (5235)

1974 წ. 16 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მსოფლიო ჩემპიონის მძლეველი





## დაკარგული მედლის კომპენსაცია

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე (ზემოდან): ქალთა სპრინტერული რბოლის ფინალის მონაწილენი დისტანციაზე; მოსკოველი ე. პონომარიოვა, რომელმაც მოიგო სსრ კავშირის თასი სპრინტში; ე. რაპი (რსფსრ) — სსრ კავშირის ჩემპიონი 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

როდესაც მსაჯებმა გიტში 1000 მეტრზე რბოლის შედეგები შეაჯამეს, გამოირკვა, რომ სსრ კავშირის თასი ლენინგრადელ ვ. ოსოკინს მოუგია.



მან მართლაც ლამაზად, თანაბარი ტემპით განვლო მთელი დისტანცია და უახლოეს მეტოქეს, ომსკელ ე. რაპს თითქმის წამი მოუგო. მაგრამ გახარებული იგი მაინც არ ჩანდა. რბოლის შემდეგ ოსოკინი თავის მწვრთნელთან ერთად განმარტოვდა და რაღაც რთული მათემატიკური ამოცანის ამოხსნას შეუდგა.

ამ დროს კი თბილისის ცენტრალური ველოტრეკის მეორე კუთხეში რაპი იღებდა მილოცვებს. გამოუცდელი მაყურებლისთვის გაუგებარი სიტუაცია შეიქმნა, რბოლა ერთმა მოიგო, გამარჯვებას კი მეორეს ულოცავდნენ. რა მოხდა?

...ამ რამდენიმე ხნის წინათ ტულაში ჩატარდა გიტში 1000 მეტრზე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ამ შეჯიბრებამ ოქროს მედლის პრეტენდენტთა შორის რაპი დააწინაურა. ახლა თბილისში რაპიცა და ოსოკინიც ორი კურდღლის მდევრების როლში აღმოჩნდნენ, ვინაიდან, მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, თასის მფლობელისა და ჩემპიონის ვინაობა ერთსა და იმავე რბოლას უნდა დაედგინა. აი, ეს რბოლა ოსოკინმა მოიგო (1.07,42), მაგრამ გამარჯვებულის შედეგი საკმარისი იყო მხოლოდ ერთი ჯილდოს — სსრ კავშირის თასის მისაღებად. მეორე ჯილდო, ანუ ოქროს მედალი კი რაპს ხვდა, რომელსაც ტულის და თბილისის რბოლების ჯამში უკეთესი დრო აღმოაჩნდა — 2.15,72.

ის ფაქტი, რომ რაპმა და ოსოკინმა ძმურად გაიყვეს პრიზები, ერთობ სიმპტომურია, ამასთან კანონიერიც. ეს წყვილი დღეს აშკარად ძლიერია სხვა მეტოქეებზე. ეს იქიდანაც ჩანს, რომ III საპრიზო ადგილზე გასული ვ. კუდრიაშოვი (თურქმენეთი) თითქმის 2 წამით ჩამორჩა რაპს.

საქართველოს ველოსიპედისტთაგან ამ სახეობაში თავი არავის გამოუჩენია. მათ შორის საუკეთესოს ი. ვოლკოვს მხოლოდ მეცხრე შედეგი ჰქონდა.

ოსოკინი, რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი იყო. მან აშკარად დაკარგა ჩემპიონის ტიტული იმის გამო, რომ ტულაში ხელი მოეცარა. ისე კი თბილისის ველოტრეკზე ოსოკინს ბედი სწყალობს და მან სცადა ამ უპირატესობის გამოყენება. პირველი დღის პროგრამის დამთავრების შემდეგ ოსოკინმა იერიში მიიტანა საკავშირო რეკორდზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. მართალია წარმატების შემთხვევაში იგი თავისსავე რეკორდს (6.12,17) დაამხობდა, მაგრამ ეს მაინც უკეთესი იყო, ვიდრე იმის შეგნება, რომ ჩინებულ სპორტულ ფორმაში მყოფმა თვალსა და ხელს შუა დაკარგა ჩემპიონის ოქროს მედალი.

ველოსპორტში მუდამ ასეა: როცა ზურგს უკან მეტოქის სუნთქვას გრძნობ, ერთიორად უფრო ფრთხილი და მობილიზებული ხარ. გამოცდილი და ძლიერი მოწინააღმდეგე თავისებური სტიმულია ბრძოლაში, სადაც ყველაფერს წამის მეათედები ან მეასედები წყვეტს. გიტი, ისევე როგორც გამოდევნებით რბოლა, წმინდა წყლის ინდივიდუალური სპორტია და ამდენად, მოკლებულია დამატებითს სტიმულს ძლიერი მეტოქის სახით.

ეს კარგად იცოდა ოსოკინმა, რომელმაც რეკორდზე იერიშის მიტანა გადაწყვიტა, მაგრამ ველოსიპედისტი იმდენად იყო დარწმუნებული თავის ძალაში, რომ ხელი არ აუღია განზრახვაზე და როგორც იტყვიან, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. საკონტროლო წამზომმა 5 კილომეტრის გავლის შემდეგ დიდებული დრო აღნიშნა — 6.11,37. ეს საკავშირო რეკორდი და თასი დაკარგული მედლის ერთგვარი კომპენსაცია იყო.

საინტერესო გამოდგა ქალთა სპრინტი, სადაც მხოლოდ სსრ კავშირის თასი თამაშდებოდა. საინტერესო იყო იგი ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ სხვა გამოცდილ ველოსიპედისტებთან ერთად საპატიო ჯილდოსთვის იბრძოდა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი თ. პილშჩიკოვა (რსფსრ).

პილშჩიკოვამ დამაჯერებლად დაიწყო ტურნირი, მაგრამ ერთ-ერთ სერიაში მოულოდნელად დამარცხდა. მართალია, მსოფლიო ჩემპიონმა სულ მალე გამოაკეთა მდგომარეობა (სანუგეშო სერიიდან მან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა), მაგრამ შერყეული რეპუტაციის ბოლომდე აღდგენა მაინც ვერ შეძლო. გადამწყვეტ რბოლაში პილშჩიკოვას უნდა დაეძლია ორი მოსკოველი სპრინტერის ე. პონომარიოვას და ზ. კუზნეცოვას წინააღმდეგობა. რთული ტაქტიკური მანევრების შემდეგ უფრო ხელსაყრელ პოზიციაში პონომარიოვა აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონმა თავი არ დაზოგა, რომ გაებათილებინა მეტოქის პოზიციური უპირატესობა, მაგრამ მთავარი მაინც ვერ შეძლო. ამიტომაც იგი II ადგილს დასჯერდა. თასი კი პონომარიოვამ მიიგო.

ნ. ახვლედიანი.

## მორიგი ტირაჟის შედეგები

შეჯამდა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 28-ე ტირაჟის შედეგები.

**„სპორტლოტო":** ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4913 მანეთია (88 ბილეთი), ოთხისთვის — 67 (8245), სამისთვის — 3 მანეთი (143226).

**„სპორტლოტო-2":** ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (12), ოთხისთვის — 103 (1583), სამისთვის — 3 მანეთი (36435).

მოგებული თანხა გაიცემა 21 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით შემნახველ სალაროებში. (საკდესი).

## დღეს

მოსკოვსა და ბაქოში იწყება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი წრე. უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან ... ყველა „საშუალედო ფინიშზე" წინ იყვნენ სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონები — მოსკოვის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათ 29 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდი — 22 ქულა, „დინამო" (კიევი) — 21, „დინამო" (მოსკოვი), „დინამო" (ლვოვი). — 17-17, „დინამო" (თბილისი) — 11. ეს გუნდები მედლებს გაითამაშებენ ცსკა-ს აუზში.

ალმა-ათისა და ხარკოვის დინამოელები, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდი, ლენინგრადის „ბალტიკა", მოსკოვის „ტორპედო" და ვოლგოგრადის „სპარტაკი" VII-XII ადგილებს გაითამაშებენ ბაქოში. ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები საგაისოდ „ა" კლასის პირველი ჯგუფის ორ საუკეთესო კოლექტივს დაუთმობენ ადგილებს.

## მოტოციკლებით იპოდრომზე

ცხაკაიას იპოდრომზე ჩატარდა შეჯიბრება საიპოდრომო მოტორბოლასა და ტრამპლინიდან ხტომაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 16 სპორტსმენი.

საიპოდრომო მოტორბოლაში (დისტანცია 3600 მ) 350 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით I ადგილი დაიკავა გ. ხურციამ. II ადგილზე გავიდა მ. ბარძემიშვილი, III — ფ. ზარანდია.

175 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით შეჯიბრებაში ყველას აჯობა რ. ბრეგვაძემ. II ადგილზეა დ. ჟორჟელიანი, III — დ. ბრეგვაძე.

დიდი ინტერესი გამოიწვია ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომამ. აქ ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა მ. ბარძემიშვილი — 12 მ. II ადგილზეა გ. ხურცია — 11 მ. III და IV ადგილები გაიყვეს რ. ბრეგვაძემ და დ. ჟორჟელიანმა — 10-10 მ.

ე. გუგუნავა. (ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## რალი ევროპა-74

● *ბეირუთი, 13 ოქტომბერი. დღეს აქ სტარტი აიღო ავტორალი „ევროპის ტური-74"-ის V ეტაპმა. შეჯიბრებაში კარგად გამოდიან საბჭოთა ავტომობილისტები: „ჟიგულებით" და „მოსკვიჩ-412"-ებით მოასპარეზე „ავტოექსპორტის" გუნდი ჯერჯერობით ყველას სჯობს და ვერცხლისა და ოქროს მედლების პრეტენდენტია. სსრ კავშირის ეკიპაჟები პირად ჩათვლაშიც ლიდერობენ. ოთხი ეტაპის შემდეგ, როცა უკან დარჩა ცხრა სახელმწიფოს გზებზე 9000 კილომეტრი, 53 მანქანიდან რალის 30 განაგრძობს. „მოსკვიჩები" უდანაკარგოდ განაგრძობენ რბოლას. რალი 18 ოქტომბერს დამთავრდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.*

● **კიშინიოვი, 13 ოქტომბერი.** საბჭოთა მოლდავეთისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50-ე წლისთავს მიეძღვნა აქ გამართული მოტოკროსი, რომელმაც მოლდავეთის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის სპორტსმენებს მოუყარა თავი. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა უკრაინის ნაკრებმა. ამ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პირად ჩათვლაშიც I ადგილები დაიკავეს: ე. რიბალჩენკომ „250-ანების" კლასში, ვ. ოვჩინიკოვმა — „500-ანების" კლასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**განა ასე ასრულებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებზე?!**

# ფრთხილად, მოსწავლეა!

- როდის გამოსწორდება სასკოლო ფიზკულტურული მუშაობა?
- სიყალბე ხელობად გაიხადეს
- მიეცით ბავშვებს ბურთის სათამაშო ადგილი
- დევიზი — მშდ კომპლექსიდან ოლიმპიურ მედლამდე!

„სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლება დაბალ დონეზეა, ფიზკულტურის გაკვეთილები უფერულად და უინტერესოდ ეწყობა. სკოლაში ცუდად ავლენენ ნიჭიერ ბავშვებს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სპეციალურ ბავშვთა სპორტულ სკოლებში მათი სპორტული ოსტატობის შემდგომი სრულყოფისთვის“, — ნათქვამია რესპუბლიკაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

რესპუბლიკის სკოლებში შექმნილი მდგომარეობის ამ რეალური შეფასებიდან ბევრგან ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნები. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში სასკოლო ფიზკულტურული ცხოვრება ვერა და ვერ გამოვიდა ჩიხიდან.

განათლების ორგანოები, სკოლის დირექტორები, პედკოლექტივები და თვით ფიზაღზრდის მასწავლებლები, რომელთა ფუნქციებიც კონკრეტულადაა განსაზღვრული სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და საკავშირო სპორტკომიტეტის მიერ დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დებულებაში, გულგრილად ეკიდებიან ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

მიუტევებელია თვით ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა შემრიგებლური დამოკიდებულება ნაკლოვანებებისადმი. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ისინი გაკვეთილებსაც უსისტემოდ, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებენ. ასეთი გაკვეთილი ხშირად ბურთით გართობით ან მოძრავი თამაშით იწყება და მთავრდება. ამას კარგად ხედავენ სკოლის მესვეურები, მაგრამ გადამჭრელი ზომების მიღებას დუმილს ამჯობინებენ. ხშირად ზოგჯერ თვით მოსწავლეები არღვევენ დუმილს და... მოდის რედაქციაში საგანგაშო სიგნალები. თავად განსაჯეთ, რაოდენ აღშფოთებული უნდა იყოს მოსწავლე, რომ ხელში კალამი აიღოს და აღმზრდელს საყვედური შეჰბედოს.

„ფიზკულტურის გაკვეთილები დაიწყება თუ არა, მასწავლებელი ვ. გიგაური ბურთებს მოგვიყრის, თავად კი ჭადრაკს მიუჯდება“, — გვწერენ ახმეტის I-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები. სამწუხაროდ, ეს ერთი მაგალითი არ არის. ახლახან ლესელიძეში ვიყავით და საკუთარი თვალით ვიხილეთ კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ფაქტი. ფიზკულტურის მასწავლებელმა, რომელიც 18 წელია ამ საქმეს ემსახურება, მოძრავი თამაშით — „ალმის მოტაცებით“ დაიწყო და დაამთავრა გაკვეთილი. სკოლას შესანიშნავი სპორტული ბაზა აქვს. მაშასადამე, მასწავლებელს შეეძლო არ გადაეხვია პროგრამისთვის. ვერც იმას ვიტყვით, რომ არ იცოდეს გაკვეთილის სტრუქტურა და შეცდომა უნებლიე იყოს. პირიქით, მან თეორიულად ჩინებულად აგვიხსნა ყველაფერი. ისმის კითხვა, რა ფასი აქვს ისეთ ცოდნას, თუ მას პრაქტიკულად არ გამოიყენებ?

მასწავლებელი მოსწავლისთვის ცხოვრების სარკეა. მისგან სწავლობს იგი პატიოსნებას, სიმართლეს, კეთილშობილებას, მეგობრისა და კოლექტივის სიყვარულს. მაგრამ განა ერთი-ორი ფაქტი ვიცით, როცა ფიზკულტურის მასწავლებელი მოსწავლეთა თვალწინ თვალთმაქცობს, გუნდს აძლიერებს კოლექტივისთვის უცხო სპორტსმენებით, უცვლის მათ გვარსა და წლოვანებას, თავის აღსაზრდელს დაუმსახურებლად ანიჭებს მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანს, სპორტულ თანრიგს, საზოგადოებრივი მწვრთნელის ან მსაჯის წოდებას.

ასეთი აღმზრდელი ივიწყებს, რომ დაუმსახურებელი სიკეთე მოსწავლეს არავითარ სიხარულს არ ანიჭებს, პირიქით, ზოგჯერ არც სურს ამის გამხელა. მაგრამ სულ სხვაა, როცა წარმატება, თუნდაც უმნიშვნელო იყოს, საკუთარი შესაძლებლობების მთლიანად გამოყენებითაა მოპოვებული.

„მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ამიერკავკასიის რკინიგზის პირველობის ანგარიშში, რომელიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდა, უზუსტობაა დაშვებული ჩემი სახელის პირველ ასოში“, — გვწერს გულრიფშის რაიონიდან ტარიელ წულაია. აი, როგორ ეხმაურება მოზარდს ნამდვილი წარმატება და მოითხოვს ყოველგვარი ეჭვების გაფანტვას.

რედაქციის ბოლო ფოსტაში კვლავ წავაწყდით სიყალბის მაგალითს. ხელვაჩაურის რაიონის კირნათის სკოლა-ინტერნატის პირველობაში XI კლასის გუნდში მეათეკლასელთა წინააღმდეგ IX2 კლასის მოსწავლე გამოუყვანიათ. მეტოქის პროტესტი მსაჯთა კოლეგიას არ მიუღია. მოსწავლეები რედაქციას ეკითხებიან, გვქონდა თუ არა სიმართლისთვის ბრძოლის უფლებაო. ერთი შეხედვით, აქ სადავო არაფერი უნდა იყოს. ალბათ დამეთანხმებით, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი სათანადო სიმაღლეზე რომ მდგარიყო, გაუგებრობაც არ მოხდებოდა. ფაქტი თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ასეთი შემთხვევა ხომ ცუდად მოქმედებს მოსწავლის შეგნებაზე, გულს უტეხს ბავშვს. ამიტომ არის საჭირო მეტი სიფრთხილე, რასაც ბევრი აღმზრდელი, სამწუხაროდ, არად აგდებს, რადგან ხელობად გადაუქცევია თვალთმაქცობა და სიყალბე. ისინი ათასგვარი მაქინაციებით ცდილობენ საკუთარ ნაკლოვანებათა მიჩქმალვას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. ყველაზე უკეთ ეს მშდ კომპლექსის ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში ჩანს. გურჯაანის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ჯაჯანიძემ ყალბად მიაკუთვნა მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი 160 მოსწავლეს, ამავე რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. რუაძემ — 89 ბავშვს. კოლეგების „გამოცდილება“ სოფელ ახაშენის პედაგოგებმა ვ. კობიაშვილმა და თ. ჯანიაშვილმაც გადაიღეს და რაიონის მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიგებს კიდევ 84 კაცი შემატეს. ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ჭიჭურაძემ 78 მოსწავლე გარია სიყალბეში, მარნეულის I-ლი რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. არუთინოვმა — 89.

რას ნიშნავს ყოველივე ეს — უცოდინარობას, უპასუხისმგებლობას თუ დაუდევრობას? რა თქმა უნდა, ყველაფერს ერთად და მეტსაც. და ეს „მეტი“ სწორედ ისაა, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს ზოგიერთი აღმზრდელის მორალურ უფლებას.

სჭირდება თუ არა მოსწავლეს ასეთი შეღავათი? რა თქმა უნდა, არა. თუ ასეა, რატომ ვლახავთ მათს თავმოყვარეობას დაუმსახურებელი სამკერდე ნიშნებითა და წოდებებით, რატომ ვუქმნით მათ სიძნელეების იოლად დაძლევის ფერად ილუზიებს?

საქმეში ჩახედული კაცი პირდაპირ აღშფოთებული დარჩება იმ ამბით, რომ სასკოლო ფიზკულტურული ცხოვრების მესვეურების უმრავლესობა, რომლებმაც ფეხი ვერ აუწყეს რესპუბლიკაში მომხდარ ცვლილებებს, კვლავ სიყალბის გზას ადგას. ამისი პირდაპირი შედეგია ის, რომ სკოლებში ჩაკვდა მჩქეფარე მასობრივი ფიზკულტურული ცხოვრება. გაკვეთილების შემდეგ ისევ სიცარიელეა სპორტულ [illegible] მასწავლებლები კი ამ დროს [illegible] უსინდისოდ თხზავენ ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა მომზადების ყალბ საბუთებს.

ასეთია ვითარება და ვისაც საქმისთვის გული შესტკივა, მთელი ხმით უნდა შესძახოს:

— გონს მოდით, ხალხო! კმარა ამდენი სიყალბე და უპასუხისმგებლობა! შესდექით, თორემ ასე შეიძლება უფსკრულამდე მიიყვანოთ რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობის ხვალინდელი ძალა და იმედი.

ვინც ამ პრობლემებზე ფიქრობს, უდავოდ დაებადება კითხვა, იქნებ დროა მოვიწვიოთ განათლების განყოფილებათა გამგეების, სკოლის დირექტორებისა და ფიზაღზრდის მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი?

ახალგაზრდა თაობის ენერგია და მისწრაფება თავისას მოითხოვს. სკოლებში საქმე აწყობილიც რომ იყოს, დღეს მოსწავლეს მაინც ესაჭიროება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სპორტის ცალკეულ სახეობებში ვარჯიში. შეიძლება მოზარდი ცხოვრების რთულ პირობებში ჯერ კიდევ სრულად ვერ ერკვეოდეს, მაგრამ იგი ინტუიციით შეუცდომლად გრძნობს, როგორ ეკიდებიან უფროსები მზრუნველობას და სიყვარულს შერჩეულ ბავშვთა ინტერესებს, როცა მათ ხელიდან ჰგლეჯენ ერთ პატარა, თუნდაც ბურთის სათამაშო მოედანს.

„დიდ ქადართან ბურთის სათამაშო მოედანი ტრაქტორით გადაგვიხნეს, თავმჯდომარემ ჩვენი მუდარა არ შეისმინა: ასე მაქვს ნაბრძანებიო, მიწის ნაკვეთი არ გვყოფნისო“, — გვწერს გეგეჭკორის რაიონის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობიდან მოსწავლე რ. ონიანი. აქვე ავიღოთ რუსთავიდან მოსული წერილი: „ჯერ იყო და ფეხბურთის მინდორი გაგვიუქმეს, მერე სახლმმართველობის დახმარებით ეზოში კალათბურთის ფარები დავდგით, მაგრამ განაწყენებულმა მცხოვრებლებმა ეს სარბიელიც მოგვიშალეს“, — გვიზიარებენ თავიანთ გულისტკივილს კლდიაშვილის ქუჩის № 12 სახლში მცხოვრები მოსწავლეები.

„მშდ კომპლექსიდან ოლიმპიურ მედლამდე!“ — ასეთია სასკოლო ფიზკულტურული ცხოვრების დღევანდელი დევიზი. ამ დევიზში მკაფიოდაა გადმოცემული მთავარი ამოცანა და მოვალეობა, პრობლემები და საერთოდ ყველაფერი, რის რეალობად გადაქცევაც მთელი საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმეა.

თ. გაჩეჩილაძე.




# მეექვსე საოლქო

ცხინვალში მიმდინარეობს სამხრეთ ოსეთის სპარტაკიადა. ასპარეზობის პროგრამაშია მძლეოსნობა, ხელბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, ტყვიის სროლა, სამბო, თავისუფალი და ქართული ჭიდაობა. სპარტაკიადაში მონაწილეობენ ქალაქ ცხინვალის, ზნაურის, ჯავის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების ნაკრები გუნდები.

ქალაქის სტადიონზე გამართული აღლუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ი. გაბარაევი. ოლქის საუკეთესო სპორტსმენებმა სპარტაკიადის ალამი აღმართეს...

სამ სახეობაში უკვე ჩატარდა შეჯიბრებები. კალათბურთელთა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს მასპინძელთა გუნდებმა. ქალთა შორის II ადგილი დაიკავა ცხინვალის რაიონის ნაკრებმა, ხოლო III — ჯავის რაიონის კოლექტივმა. ვაჟთა ასპარეზობაში II ადგილი ხვდათ ჯავის, ხოლო III — ზნაურის რაიონის წარმომადგენლებს. ლენინგორის რაიონს გუნდები არ გამოუყვანია.

ქართული ჭიდაობა ზნაურში ჩატარდა. წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: თ. ბეგიაშვილი, ა. გობიზოვი (ორივე — ზნაური), შ. მორბედაძე (ლენინგორი), ე. ფუხაევი (ზნაური), მ. ქისიშვილი (ცხინვალის რაიონი), ა. იკაევი (ზნაური), უ. სოკუროვი (ცხინვალი) და ლ. ჩიგოევი (ლენინგორი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ზნაურელმა ფალავნებმა. II ადგილზე არიან ცხინვალის მოჭიდავეები, III — ცხინვალის რაიონის წარმომადგენლები.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში შედეგები მეტად დაბალი იყო. ხუთმა კაცმა შეასრულა მეორე თანრიგის, ხოლო 18 — მესამე თანრიგის ნორმა. ჯაველმა ვ. თედეევმა ბირთვის კვრაში სამხრეთ ოსეთის რეკორდი დაამყარა — 14,50 მ. ლენინგორის რაიონმა გუნდი ვერც ამ სახეობაში გამოიყვანა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ქსნისპირელი სპორტის მესვეურები, რატომ არიდებენ თავს საოლქო სპარტაკიადას? ეს მით უმეტეს გასაკვირია, რომ ლენინგორში აქვთ სპორტსკოლა მძლეოსნობის ჯგუფებით.

ზ. ველქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

# სპორტის მოყვარულის თაროზე

ახალი წიგნები

„ხუთი დღე და მთელი ცხოვრება“ — ასე ჰქვია ხუთჭიდში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის იგორ ნოვიკოვის წიგნს, რომელიც „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა. იგი 21-ე წიგნია პოპულარული სერიისა „სპორტი და პიროვნება“, ლიტერატურული ჩანაწერი ჟურნალისტ ა. პინჩუკისა.

გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“ გვთავაზობს შემდეგ წიგნებს:

„ვალერი ბორზოვი“. ეს არის კიეველი ჟურნალისტის კ. პუშკარიოვის მოთხრობა სახელგანთქმულ სპრინტერზე, რომელმაც მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში სამი მედალი მოიპოვა. წიგნში ნაამბობია ბორზოვის ცხოვრებასა და სპორტულ გზაზე, მის მწვრთნელზე, სისწრაფის საიდუმლოებაზე.

„გზა თავისი თავისკენ“ — ასე უწოდა მორიგ წიგნს ა. ტარასოვმა, ჰოკეის ცნობილმა სპეციალისტმა, წარსულში სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, აგრეთვე, ცსკა-ს გუნდის ხელმძღვანელმა. იგი იხსენებს სამამულო ჰოკეის შექმნის ისტორიას, მსჯელობს თანამედროვე სპორტის ბედსა და პერსპექტივებზე.

„ყინულზე არიან პროფესიონალები“. ეს არის პუბლიცისტური შენიშვნები ჟურნალისტ ნ. ალაიანცისა, რომელიც დიდხანს მუშაობდა კანადაში. იგი მკითხველებს „ატარებს“ პროფესიული ჰოკეის კულისებში, გვიამბობს მის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებზე.

„ყველაფერი სპორტის შესახებ“ — ამავე დასახელების ცნობარის მეორე ტომი. სპორტის მოყვარულები ამ წიგნში ნახავენ ცნობებს ქვეყნის დიდ სპორტულ ნაგებობებზე, სპორტული კადრების მომზადების სისტემაზე, სპორტულ პრესაზე...

[illegible]

# ენგურჰესელთა ტრადიციული...

დაბა საბერიოს ძალოვანი კვანძის სამმართველოს სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ენგურჰესის მშენებელთა X ტრადიციული სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა 12 ფიზკულტურის კოლექტივის 1800-მდე სპორტსმენი. პროგრამაში იყო თოთხმეტი კლასიკური სახეობა, აგრეთვე, ლელობურთი და ქართული ჭიდაობა.

კომპლექსურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მეექვსედ მოიპოვეს ძალოვანი კვანძის სამმართველოს (უფროსი უ. გოჯიაშვილი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი თ. ქადარია) სპორტსმენებმა. მათ ხუთი I და ექვსი II ადგილი დაიკავეს.

II ადგილზე გავიდა გვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივი, III — მშენებარე ენგურის კასკადის დირექციის გუნდი.

სპარტაკიადის 800-მდე მონაწილემ მშდ კომპლექსის სხვადასხვა საფეხურის ნორმატივები ჩააბარა, მათ შორის 67 ფიზკულტურელმა — ოქროს სამკერდე ნიშანზე.

დაწესებული იყო სამი პრიზი. პროფკავშირის ორგანიზაციის მიერ დაწესებული „პროგრესის თასი“ გადაეცა მშენებარე ენგურის კასკადის დირექციის კოლექტივს, მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის თასი — „საუკეთესო სპორტსმენი ქალისთვის“ — მიიღო მძლეოსანმა ტ. კარაკლიევამ; ფიზკულტურის საბჭოს პრიზი — „საუკეთესო ფეხბურთელი“ — გადაეცა ზ. ეჯიბიას.

ბ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

# მშენებელთა მეგობრობა

მეგობრული კავშირი აქვთ ერთმანეთთან დამყარებული საერთო მშენებლობის ბათუმის № 5 და თბილისის № 14 ტრესტის ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ამას წინათ თბილისელი მშენებლები ბათუმს ეწვივნენ და „დინამოს“ სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს ფეხბურთში კოლეგებთან. საინტერესო თამაში მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 2:1.

ზღვისპირა ქალაქში თბილისელმა მშენებლებმა დაათვალიერეს ადგილობრივი ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში, აკვარიუმში.

ოქტომბრის ბოლოს ბათუმელი მშენებლები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან თბილისელებს.

ო. მურვანიძე,
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.





# სადაც ასფალტის სამფლობელო მთავრდება...

ურბანისტულ ეპოქაში „რეტროსპექტული სვლა“ ერთობ მოდურ ტენდენციად იქცა. ბებიის ნაქონ ტანსაცმელს ილებენ სკივრიდან, დავიწყების მტვერს აცლიან და სავსებით ახლდებიან. მოდაში შემოვიდა ძველებური პერანგები, კოსტიუმები, ფეხსაცმელები, თქვენ წარმოიდგინეთ, საკერავი მანქანები და ავტომობილებიც კი. ასეთია ატომური ეპოქის „კაპრიზი“, ადამიანი ცდილობს გაამრავალფეროვნოს თავისი ცხოვრება, ძველ მტრიხებს ახლის სული შთაბეროს.

ცხენი... იგი არც ძველდება და არც განახლება სჭირდება. მან ყველა მოდას გაუძლო, თუმცა, მხედრისა და ერთგული ცხენის ასპარეზი საგრძნობლად შემცირდა. ბილიკები და შარაგზები კარგა ხანია მოასფალტებულია და ცხენებს ისღა დარჩათ, რაც ასფალტს გადაურჩა. ფოტორეპორტიორებს ძალიან უყვართ კონტრასტი—თანამედროვე ავტომანქანა და ცხენ-მხედარი ერთმანეთის გვერდით. სხვისი არ ვიცი და ჩემში ასეთი სურათები მხოლოდ სევდასა და სინანულს იწვევს...

მაშ, თქვენთან ერთად ვეწვიოთ ცხენებისა და მხედრების განუყოფელ სამფლობელოს — მწვანედ მოხასხასე ბალახით შემკობილ იპოდრომს. ხალხით სავსე ტრიბუნები, საზეიმო განწყობილება, საუკუნეთა მანძილზე გაუხუნარი ინტერესი ცხენოსანთა პაექრობისადმი, ის ენით გამოუთქმელი გრძნობა, რომელსაც ადამიანისა და ცხენის მარადიული მეგობრობა იწვევს... ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახლა, ეგრეთ წოდებული რეტროსპექტული ევოლუციის ეპოქაში, როცა რესპუბლიკის იპოდრომებს აღორძინებისა და გამოცოცხლების სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. ამდენი ხალხი არასოდეს ყოფილა ჩვენს იპოდრომებზე და ეს მხოლოდ ტოტალიზატორით როდია გამოწვეული.

იქნებ სწორედ ამ თავისებური საცხენოსნო ბუმის გამოძახილი იყო ალმა-ათის იპოდრომზე ქართული ცხენოსნობის თვალსაჩინო წარმატება. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, დიდი რეზონანსი ჰქონდა ყაზახეთის დედაქალაქში გამართულ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების ცხენოსანთა XVII საკავშირო შეჯიბრებას. ამ მნიშვნელოვან ასპარეზობაში ქვეყნის 500-მდე უძლიერესი ცხენოსანი მონაწილეობდა.

ჩვენს საუბარს ამ ასპარეზობაზე გააგრძელებს საქართველოს ცხენოსანთა გუნდის უფროსი, გვარდიის თადარიგის პოლკოვნიკი, თბილისის იპოდრომის დირექტორის მოადგილე გიორგი გამზარდია.

— ახლა, როცა ტურნირი უკან მოვიტოვეთ, ადვილია ლაპარაკი, თითქოს წინასწარ ვიყავით დარწმუნებული წარმატებაში. მაგრამ ეს მართლაც ასეა, ხოლო წარმატებას ბევრი ფაქტორი განაპირობებდა. პირველ ყოვლისა, ჩვენ საკმაოდ კარგად გავართვით თავი საორგანიზაციო საკითხებს, შევქმენით ძლიერი გუნდი, შევარჩიეთ საუკეთესო ცხენები. მაგრამ ვერავითარი ორგანიზაცია ვერ შეცვლიდა იმას, რასაც ხატოვნად საბრძოლო სულს უწოდებენ. ლაპარაკია ჩვენი სპორტსმენების ფსიქოლოგიურ მომზადებაზე. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ამ ბოლო ხანს საქართველოს სოფლის ცხენოსნები საკავშირო შეჯიბრებებში სუსტად გამოდიოდნენ და მათთვის შეუფერებელ ადგილებს სჯერდებოდნენ. ამჯერად, ალმა-ათაში გამგზავრების წინ, თითოეული ცხენოსანი ცდილობდა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოევლინებინა, მით უმეტეს, რომ ისინი საუცხოოდ იყვნენ მომზადებული.

ალმა-ათის შეჯიბრება ცხენოსანთა ნამდვილ დღესასწაულად იქცა. მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს, რათა ცხენებსა და მხედრებს „უცხოობა“ არ ეგრძნოთ. უნდა ითქვას, რომ მათ სავსებით მიაღწიეს მიზანს.

ახლა თავად შეჯიბრების თაობაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასპარეზობის დღეებში ოჩამჩირელ სპორტის ოსტატი იური ბარათელია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ცხენოსანი იყო. გამოცდილმა მხედარმა ორი პრიზი დაისაკუთრა. შეჯიბრების პირველ დღეს მას ტოლი არ ჰყავდა დაბრკოლებათა გადალახვაში, რისთვისაც ლატვიის რესპუბლიკის პრიზი დაიმსახურა, მოგვიანებით გამარჯვებულმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ცხენოსნობის ამ სახეობაში ძალა შესწევს ქადილისა. მეორე გამარჯვება, ამჯერად ესტონეთის რესპუბლიკის პრიზზე ასპარეზობაში. მაყურებელი მხურვალედ მიესალმებოდა ცხენ-მხედარს — იური ბარათელიასა და ოჩამჩირის საცხენოსნო კლუბის ფაშატს გერიკს.

ბარათელიას ბრწყინვალე გამარჯვებამ მხნეობა შემატა მის თანაგუნდელებს, რომლებმაც თავიანთ ლიდერთან ერთად გუნდური II ადგილი მოიპოვეს დაბრკოლებათა გადალახვაში. ესეც ფრიად თვალსაჩინო წარმატება გახლავთ, საქართველოს ცხენოსნებს საკავშირო კლასიფიკაციაში ასეთი ადგილი არასდროს რგებიათ. აი, ჩვენი „ვერცხლის გუნდიც“: ბარათელია, ზაურბონ ლაზამია (ასპარეზობდა გალის საცხენოსნო სპორტკლუბის ულაყ მოსკვიჩით), მიხეილ სამველიანი (ოჩამჩირის საცხენოსნო სპორტკლუბის ფაშატი სავა), ასკიმ ლაკოია (გუდაუთის საცხენოსნო სპორტკლუბის იაბო ბასმაჩი).

ბუნებრივია, მაყურებელთა შეუნელებელ ინტერესს იწვევდა დოღი. ასპარეზობაში 22 ცხენ-მხედარი გამოდიოდა. 1800 მეტრზე დოღში ყირგიზეთის რესპუბლიკის პრიზზე ფინიშთან პირველი მიიჭრა ყულარის ცხენსაშენის ულაყი მარნეული (მხედარი იური შავუევი). აღსანიშნავია, რომ ამ დისტანციაზე ჩვენმა რესპუბლიკამ ოთხი ცხენი გამოიყვანა. ჩვენი წარმატებები დოღში ამით არ ამოიწურა. რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს პრიზზე შეჯიბრებაში (დისტანცია 2400 მ) კვლავ გამარჯვება ვიზეიმეთ: ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ყულარის ცხენსაშენის ულაყმა მრუდერმა (მხედარი ანდრეი ზუკაშევი), ფინიშთან მეორე იყო ყულარის ცხენსაშენში გამოზრდილი ულაყი გაუცინარი (მხედარი სულთან ემინოვი). I-II ადგილები — დაგვეთანხმებით, საგულისხმო მიღწევაა.

საერთოდ, ალმა-ათის ტურნირში საქართველოს გამოზრდილი ცხენების რეპუტაცია ფრიად მაღალი გახლდათ. მაყურებელთა გაოცებას და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ულაყმა მარნეულმა მეორედ, ამჯერად „ცხენოსნობის მოწინავეთა“ პრიზზე შეჯიბრებაში ფინიშის სწორთან პირველმა მიიყვანა თავისი მხედარი ზუკაშევი. დოღებისთვის ჩვენი გუნდი მოამზადა ისმაილ სულეიმანოვმა.

დიდი გამოცდა ელოდათ ჩვენს ცხენოსნებს ასპარეზობის დასასრულს. ისინი მონაწილეობდნენ ყაზახურ ეროვნულ საცხენოსნო თამაშში „ნიზაკიზეტუში“. კიდევ კარგი, რომ საქართველოს ცხენოსნებს მდიდარი ტრადიციები აქვთ სპორტის ამ სახეობაში. ალბათ, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი უპირველესი საწინდარი ჩვენი გუნდის გამარჯვებისა. ამ თამაშში გვასახელეს სპორტის ოსტატებმა ბარათელიამ და ლაზამიამ, აგრეთვე, ავქსენტი ტარბამ, გალერი ტაბალუამ, ასკიმ ლაკოიამ, ზურაბ ჩიკვატიამ. მათთან ერთად გამარჯვების სიხარული გაიზიარა მწვრთნელმა დოლაჟები აჩბამ. სულ კი ასპარეზობაში 9 გუნდი გამოდიოდა.

ისინდი... რამდენ საგულისხმო რასმე ეუბნება ეს სახელი ქართველი კაცის გულსა და სულს. ჯერ არ მინახავს უცხო ადამიანი, რომელიც ისინდს არ მოეხიბლოს. გამონაკლისს, რა თქმა უნდა, არც ალმა-ათის ჩემპიონატის მონაწილეები და მაყურებლები წარმოადგენდნენ. მართალია, შეჯიბრების ორგანიზატორებმა ისინდი შეიტანეს ტურნირის პროგრამაში, მაგრამ სარბიელზე მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდი გამოდიოდა. ბუნებრივია, გამარჯვებისთვის მხოლოდ საქართველოს ცხენოსნები იბრძოდნენ. იქნებ ფიქრობთ, რომ ამან ასპარეზობა გააუფერულა? სულაც არა. მე ვიტყოდი, რომ სწორედ პირიქით მოხდა. მაყურებელს თავიდან ბოლომდე თვალი არ მოუწყვეტია მამაცთა და მოხერხებულთა თამაშისთვის. ისინი მოხიბლა არა მარტო ისინდის დინამიკურობამ, არამედ მონაწილეთა დიდმა ოსტატობამაც. ეს კი არა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა გვთხოვეს ტურნირის დახურვის დღეს დამატებით გაგვემართა საჩვენებელი შეხვედრა ისინდში. რა თქმა უნდა, ჩვენ გავიმეორეთ „კონცერტი“.

ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა ჩვენი დელეგაცია სტუმართმოყვარე ყაზახეთიდან. ალმა-ათაში მოპოვებული საერთო გუნდური III ადგილი საპატიოა, მაგრამ საპასუხისმგებლოც. დიახ, საპასუხისმგებლო, რადგან ქართველი ცხენოსნები დიდი ხნის „შესვენების“ შემდეგ საკავშირო საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი ლიდერები გახდნენ. ლიდერის მდგომარეობა კი, მოგეხსენებათ, ბევრს ავალებს სპორტსმენებს, მწვრთნელებს და ცხენსაშენების მუშაკებს. მაგრამ რადგან ბოლოს და ბოლოს ნავსი გატყდა, რა ღმერთი გაგვიწყრება მომავალშიც არ გავახაროთ სპორტის ამ პოპულარული სახეობის მოყვარულნი.

ა. გოგელია.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: შეჯიბრების მონაწილენი ალმა-ათის ქუჩებზე აღლუმის დროს; ისინდის მომენტი.

---

## ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

### ჩემპიონატის ქრონიკა

14 ოქტომბერს მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის 25-ე ტურის ბოლო მატჩი: ცსკა — „არარატი“.

გაიმარჯვეს არმიელებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს კოპეიკინმა და მოროზოვმა.

### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 25 | 12 | 11 | 2 | 39—15 | 35 |
| „ჩერნომ.“ | 25 | 11 | 9 | 5 | 33—25 | 31 |
| „ტორპედო“ | 25 | 11 | 7 | 7 | 30—22 | 29 |
| „სპარტაკი“ | 25 | 10 | 9 | 6 | 25—21 | 29 |
| „არარატი“ | 25 | 9 | 9 | 7 | 31—23 | 27 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 25 | 8 | 10 | 7 | 34—25 | 26 |
| „შახტიორი“ | 25 | 8 | 10 | 7 | 30—27 | 26 |
| „ზენიტი“ | 25 | 6 | 14 | 5 | 28—34 | 26 |
| „ფახთაქორი“ | 25 | 8 | 8 | 9 | 37—37 | 24 |
| „დნეპრი“ | 25 | 7 | 9 | 9 | 23—31 | 23 |
| ცსკა | 25 | 7 | 8 | 10 | 27—30 | 22 |
| „ქაირათი“ | 25 | 7 | 8 | 10 | 34—39 | 22 |
| „დინამო“ (თბილისი) | 25 | 5 | 12 | 8 | 20—30 | 22 |
| „კარპატი“ | 24 | 5 | 11 | 9 | 24—28 | 21 |
| „ზარია“ | 25 | 6 | 9 | 10 | 26—36 | 21 |
| „ნისტრუ“ | 25 | 4 | 8 | 13 | 27—45 | 16 |

### II ლიგა III ზონა

14 ოქტომბერი. „დინამო“ (კიროვაბადი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:1, „ლორი“ (კიროვაკანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:4, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 1:0, „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „დილა“ (გორი) 2:0, „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 6:1, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:1, „დინამო“ (ვოლოგდა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 4:0, „ურალანი“ (ელისტა) — „დინამო“ (ბრიანსკი) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 0:1.

## ამჯერად — 21

როგორც ცნობილია, ოქტომბრის დამლევს სსრ კავშირის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შეხვდება ირლანდიის ეროვნულ გუნდს. ამ თამაშისთვის მზადების პროგრამით დღეს საბჭოთა ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩში შეხვდებიან ბულგარეთის მეორე ნაკრებს.

სსრ კავშირის გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა ამჯერად სავარჯიშოდ 11 გუნდის 21 ფეხბურთელს მოუყარა თავი, რომელთაგან შეარჩევს არა მარტო დღევანდელი თამაშის მონაწილეებს, არამედ საერთაშორისო გვემებსაც დასახავს.

აი, ეს 21 ფეხბურთელი: კიევის „დინამოდან“ — მატვიენკო, ტროშკინი, ბურიაკი, კოლოტოვი, ბლოხინი, ონიშჩენკო; მოსკოვის „დინამოდან“ — პილგუი, ნიკულინი, პავლენკო; „სპარტაკიდან“ — ოლშანსკი, ლოვჩევი; ცსკა-დან — კაპლიჩნი, ფედოტოვი; „ფახთაქორიდან“ — ანი, ფიოდოროვი; „დნეპრიდან“ — კოლტუნი; „არარატიდან“ — ანდრეასიანი; „ზარიადან“ — ვასენინი; „ტორპედოდან“ — ხუდიევი; „ჩერნომორეციდან“ — ლემეშკო; კუიბიშევის „კრილია სოვეტოვიდან“ — ლოსევი.

## „მოსავლის თასზე“

გალის რაიონის სოფელ რეფის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დასახეს ღონისძიებანი თავიანთი ფიზკულტურული კოლექტივის სპორტული ბაზების კეთილმოსაწყობად და სპორტულ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩასატარებლად. დაწესდა სპეციალური პრიზი — „მოსავლის თასი“.

ამას წინათ განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო სოფლის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ № 3 აგროგანყოფილებისა და საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდები. საინტერესო შეხვედრა მოიგო აგროგანყოფილების გუნდმა (4:1), რომელმაც მოიპოვა სპეციალურად დაწესებული თასი.

ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲣᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

სოფ. რეფი,
გალის რაიონი.

## რაიონების სტადიონებზე

### ◆ თბილისი

საინტერესოდ მიმდინარეობდა ორჯონიკიძის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა პირველობა ფეხბურთში 15 გუნდის მონაწილეობით. I ადგილი ხვდა სამშენ მასალათა კომბინატის გუნდს (მწვრთნელი ა. ახვლედიანი), რომელსაც გადაეცა ვიმპელი. გუნდის წევრები, რომელთა უმეტესობა მუშაა, დაჯილდოვდნენ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის სიგელებით.

რ. კოვზირიძე.




## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

● ●

# კარპოვი — კორჩნოი 2:0 (10 ყაიმი)

მოსკოვი, 14 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, სადაც კარპოვ — კორჩნოის მატჩმა გადმოინაცვლა, XII პარტიასაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ბრძოლა ამჯერადაც მიმზიდველი იყო, ოღონდ იგი ორიოდე საათში დამთავრდა.

მეტოქეებმა გააგრძელეს დისკუსია ფრანგული დაცვის თემაზე. ეს სადებიუტო სისტემა პრაქტიკაში ი. ბოლესლავსკიმ შემოიღო მ. ბოტვინიკთან მიკრომატჩში 1941 წელს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სისტემას მაშინ ნაკლი მოუნახა, ორი პარტია მოიგო და თეორიაში დამკვიდრდა შეხედულება, რომ შავების პოზიცია უპერსპექტივოა. გავიდა ხანი. ახალი თეორიული გამოკვლევებით შავებისთვის კონტრთამაშის გზები გამოინახა. პრაქტიკამ ცხადყო, რომ შეიძლება ამ დაცვის თამაში.

გაჭირვების ჟამს კორჩნოიმ, რომელსაც სიცილიურმა დაცვამ და რუსულმა პარტიამ იმედები არ გაუმართლა, ფრანგულ დაცვას მიმართა. მართალია, ამ სისტემით დაწყებული ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა, მაგრამ ბევრჯერ ინიციატივას კორჩნოი ფლობდა.

და აი, XII პარტიაშიც ფრანგულმა დაცვამ კორჩნოის საიმედო თამაშის საშუალება მისცა. VIII და X პარტიებისგან განსხვავებით მან მე-13 სვლა ახლებურად ითამაშა, მხედარს უკეთესი პოზიცია შეურჩია ლაზიერის ფრთაზე. როგორც ჩანს, კარპოვს ყაიმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ამიტომ მე-18 სვლაზე გაბედულად აიყვანა პაიკი და მეტოქეს მეფის პოზიცია დაანგრევინა. ახალგაზრდა დიდოსტატს ზუსტად გაეანგარიშებინა, რომ კორჩნოი იერიშის შემთხვევაში მხოლოდ მუდმივ ქიშს მიაღწევდა. კორჩნოიმ კუ შესწირა, კარპოვის მეფეს შეუტია, მაგრამ მარტოხელა ლაზიერით ვერაფერს გახდა. ამიტომ იგი მუდმივი ქიშით დაკმაყოფილდა.

გთავაზობთ XII პარტიას:

**კარპოვი — კორჩნოი**

**ფრანგული დაცვა**

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. მgf3 მc6 6. კb5 კd5 7. 0—0 cd 8. მb3 მge7 9. მb:d4 0—0 10. c3 კg4 11. ლa4 კh5 12. კe3 ლc7 13. h3 მa5 14. კd3 მc4 15. მb5 ლd7 16. კ:c4 dc 17. ეfd1 მf5 18. ლ:c4 კ:f3 19. gf მ:e3 20. fe ლ:h3 21. მ:d6 ლg3+ 22. მფf1 ლ:f3+ 23. მფe1 ლg3+. ყაიმი.

## საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### სპარტაკიადის პრელუდია

უზბეკეთის ახალგაზრდული სპორტული თამაშების მონაწილეებმა 3340 შესწორება შეიტანეს საკლუბო, რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური რეკორდების ცხრილებში. მაგრამ მთავარ რეკორდად მასობრიობა იქცა: სხვადასხვა ეტაპზე — ზამთრის მიწურულიდან შემოდგომამდე — სტარტზე 1,5 მილიონი ფიზკულტურელი გამოვიდა. ამ პერიოდში გამდიდრდა ფიზკულტურის „არსენალი": კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებსა და მაღაროებში, ინსტიტუტებსა და სკოლებში, ქალაქის კვარტალებში უფრო მეტად თვით ახალგაზრდობის ძალებით ასობით ახალი სპორტული მოედანი მოეწყო.

300 ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა შეასრულა მასობრივი თანრიგების ნორმატივები. ასეთია საძირკველი სპორტული პირამიდისა, რომელიც მაღალი მიღწევებითაა დაგვირგვინებული: ახალგაზრდული თამაშების 170 მონაწილე სპორტის ოსტატი გახდა.

საერთო ჩათვლაში (პროგრამის 16 სახეობაში) ტაშკენტის გუნდმა გაიმარჯვა. დედაქალაქის სპორტსმენებმა 1266 ქულა დააგროვეს და მოიპოვეს... 1975 წლის XVII რესპუბლიკური სპარტაკიადის ლიდერობა. ახალგაზრდული თამაშების დებულების თანახმად, მომავალი სპარტაკიადის ჩათვლაში შეაქვთ აქ მოპოვებული შედეგების ნახევარი. ამან გაამწვავა ბრძოლა.

სპორტულ საზოგადოებათაგან საუკეთესო შედეგს „ბურევესტნიკმა" მიაღწია. ცალკე აღრიცხავდნენ ქალიშვილების მაჩვენებლებს. აქ ყველას დედაქალაქის გუნდმა აჯობა.

გ. გოლუბკინა,
ე. ეფიმოვი.

ტაშკენტი.

### სპორტსკოლა ტბის ნაპირზე

ლატვიის დედაქალაქის პროლეტარების რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელებმა წლევანდელი სასწავლო წელი ახალ, ვრცელ შენობაში, დაიწყეს რესპუბლიკაში პირველი სპეციალიზებული კომპლექსი სპორტსკოლისთვის აშენდა იუგლის ტბის ნაპირზე გადაშლილ საცხოვრებელ მასივში. დიდ სათამაშო დარბაზში (54×18 მ) შეიძლება ჩატარდეს შეჯიბრებები ხელბურთში. თუ აუცილებელია, აქ შეიძლება ავტომატურად დაუშვან კედელი, რითაც ცალკე დარბაზში მეცადინეობის საშუალება ეძლევათ კალათბურთელებსა და მოფარიკავეებს. ორი სხვა დარბაზი განკუთვნილია საერთო ფიზიკურ მომზადებასა და ძაგიდის ჩოგბურთში მეცადინეობისთვის. წვრთნას შეიძლება თვალი ადევნოთ შიდა სატელევიზიო დანადგარით.

რაიონის დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეზობელი ქარხნებისა და საწარმოების მუშა-მოსამსახურეებმა.

რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები უკვე შეუდგნენ ახალი კომპლექსის მეორე რიგის დაპროექტებას: გათვალისწინებულია აიგოს ახალი სტადიონი საფეხბურთო მინდვრით, ტირი და საცურაო აუზი.

რიგა.

### რბენა კომპასის ისრის დახმარებით

კიროვის მახლობლად მეშვიდედ გაიმართა შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში ს. კიროვის სახელობის პრიზზე. ასპარეზობა დამთავრდა გორკელი ინჟინრის ლ. ნიკიშინას და სლობოდსკელი სპორტის ოსტატის ა. ხარინის გამარჯვებით.

პირველმა ყველაზე სწრაფად დაფარა შვიდკილომეტრიანი ძნელად გასავლელი ტყიანი ტრასა ცხრა საკონტროლო პუნქტით (1:01.35), მეორემ გაიმარჯვა 13-კილომეტრიან დისტანციაზე 14 საკონტროლო პუნქტით (1:22.20).

შეჯიბრება ორიენტირებაში, რომელიც შემოდგომის ოქროსფრად შეღებილ ვიატხის ტყეში გაიმართა, საინტერესო ესტაფეტებმა დაამშვენა. ვაჟთა გუნდებში საუკეთესო შედეგს პერმის სპორტსმენებმა მიაღწიეს, ხოლო ქალებში კიროველებმა იმარჯვეს.

პოპულარული პრიზის ტრადიციულ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 200 სპორტსმენმა იაროსლავლიდან, გორკიდან, პერმიდან, ჩერეპოვეციდან, ყაზანიდან, სიქტივკარიდან, კურგანიდან და საბჭოთა კავშირის იმ ქალაქებიდან, სადაც სულ უფრო იზრდება სპორტული ორიენტირების — კომპასის ისრის დახმარებით რბენის პოპულარობა.

გ. ზიკოვი.

კიროვი.

## საკდესის გასწორება

„ლელოს" 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ კარპოვ — კორჩნოის მატჩის XI პარტიის ტექსტში გამოტოვებულია შავების 69-ე და თეთრების 70-ე სვლები: 69. ...ეf3 70. მფh2. მერე პარტია გრძელდება ისე, როგორც [illegible], ოღონდ იგი მთავრდება [illegible] არამედ 81-ე სვლაზე.

# ჰორიზონტზე ფინიში გამოჩნდა

ჩემპიონობის საკითხი, ჩვეულებრივ, ფინიშზე წყდება. ასეა ყველა მარათონულ საჭადრაკო შეჯიბრებაში და ასე იყო ქალთა XXXIII საკავშირო ჩემპიონატშიც. ეს ამბავი კიდევ უფრო ამძაფრებს ბრძოლას.

გუშინწინდელმა გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელმაც 13 ტური შეაჯამა, კორექტივები შეიტანა მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობაში.

ამჟამად ჩემპიონის ოქროს მედლის პირველი პრეტენდენტია ე. ფატალიბეკოვა (მოსკოვი) — 10,5 ქულა. მისი უახლოესი მეტოქეები არიან მ. რანიკუ (ტალინი) — 9, ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — 8, ა. შული (ლვოვი) — 7,5, მ. სამული (ტალინი), ც. კობაიძე, მ. ჩიბურდანიძე (ორივე — თბილისი) — 7-7, ა. კისლოვა (ომსკი), ტ. კოსტინა (მინსკი), ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — 6,5-6,5. შემდეგ მოდიან: რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი), ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — 6-6, ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), თ. გოლოვეი (მინსკი), ტ. მოროზოვა (ლვოვი) — 5,5-5,5, ტ. ფომინა (ტალინი) — 5, ტ. პოპოვა (მოსკოვი) — 3,5, თ. ხუგაშვილი (თბილისი), ე. ბახრეხი (მოსკოვი) — 2,5-2,5.

გადადებული პარტიების დამთავრება ძალიან საინტერესო იყო. თამაშის განუახლებლად მხოლოდ გოლოვეი — ბილუნოვას პარტია დამთავრდა ყაიმით. დანარჩენ 14 პარტიაში უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა.

კოზლოვსკაიამ მთელი საღამო, 6 საათი მოანდომა სამი პარტიის დამთავრებას. მონდომებამ და საგულდაგულო ანალიზმა 3 ქულა მოუტანა: მან დაამარცხა შული, კოსტინა და პოპოვა. 1,5 ქულა მოიპოვა რანიკუმ: მოუგო პოპოვას, ყაიმზე შეუთანხმდა კობაიძეს და დამარცხდა მოროზოვასთან.

სამულმაც სამი პარტია დაამთავრა, რომელთაგანაც ორი წააგო, გადადებულ პარტიაში კოსტინას ძლიერი სვლა ჩაეწერა და თამაშის განახლებისას გამოირკვა, რომ სამულის კომბინაცია კუს შეწირვით მიზანს ვერ აღწევდა. კოსტინამ ადვილად გაიმარჯვა. კისლოვამაც არ დააყოვნა უპირატესობის გამოყენება. სამულმა მხოლოდ მოროზოვას მოუგო.

ხუგაშვილმა საუცხოოდ ითამაშა ენდშპილი მედიანიკოვასთან. მისი მხედარი და ორი გამსვლელი პაიკი უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ, ვიდრე მეტოქის კუ და სამი გამსვლელი პაიკი. ამ პარტიის მოგებით ხუგაშვილმა პირველი გამარჯვება იზეიმა. მეორე გადადებული პარტია ბახრეხთან მან ყაიმით დაამთავრა.

კობაიძის პოზიცია მულენკოსთან უიმედოდ მიგვაჩნდა, მაგრამ თამაშის განახლებისას მულენკომ ცუდად ითამაშა. კობაიძემ ორიოდე ზუსტი სვლით კონტრთამაში მიიღო, მერე ეტლის შეწირვით მუდმივი ქიში გამოაცხადა — ყაიმი. ყაიმით დამთავრდა გოლოვეი — მედიანიკოვას შეხვედრაც. მოროზოვამ მოუგო მულენკოს.

ფინიშის სწორზე ლიდერებს მძიმე ბრძოლა მოელით. ფატალიბეკოვას მეტოქეთა შორის არიან შული, კისლოვა, კოსტინა... რანიკუს მოელის შეხვედრები კოზლოვსკაიასთან, ჩიბურდანიძესთან, სამულთან...

თ. გიორგაძე.

• • •

სურათზე: ერთ-ერთ ტურში.
ა. კავკასიძის ფოტო.







...$19^{45}$

◆ მანილა, 15 ოქტომბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. II ადგილზეა საბჭოთა დიდოსტატი ე. ვასიუკოვი (5 ქულა), რომელიც ერთადერთია, ვინც ჯერჯერობით შეძლო ლარსენის დამარცხება (ეს VI ტურში მოხდა).

რედაქტორი მ. ბაქაბაძე.

## ევროპის ფეხბურთის ვარსკვლავები

### 5 მილიონამდე მაყურებელი

როგორც უეფა-ს სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ევროპის ძირითადი ტურნირების (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასების გათამაშებანი) მატჩებს 1973-74 წლების სეზონში 4933813 მაყურებელი დაესწრო, რაც წინა სეზონთან შედარებით 9,1 პროცენტით მეტია.

ევროპის ტურნირებისადმი ინტერესი სულ უფრო მატულობს. ახლა ყოველ მატჩს საშუალოდ 20 ათასი მაყურებელი ესწრება.

### სახიფათო დებიუტანტი

„ვეშუკაბა" — ეს სახელი, ვფიქრობთ, ჩვენს გულშემატკივრებს არ სმენიათ. ეს გუნდი ეს-ეს არის უნგრეთის I ლიგის ბინადარი გახდა, მაგრამ სრულიადაც არ უფრთხის ბევრად უფრო გამოცდილ კლუბებს და სტარტზე კარგად თამაშობს. ეს მაშინ, როცა „ვაშაშმა" (ახლა მას ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ილოვსკი უდგას სათავეში) და მტკ-ამ თამაშები უფერულად ჩაატარეს.

ერთადერთი, ვისაც შეიძლება „ვეშუკაბიდან" უნგრეთის ფარგლებს გარეთ იცნობდნენ, მწვრთნელი ბაბოლჩაი გახლავთ: 50-ან წლებში იგი უნგრეთის ნაკრებში თამაშობდა.

### გამოსავალი მონახეს

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელი ნახევარმცველი ნეესკენსი „ბარსელონაში" ჩაირიცხა, საფრთხე დაემუქრა ამ გუნდის წევრს, პერუს ნაკრების ცნობილ თავდამსხმელს სოტილს. საქმე ისაა, რომ, ესპანეთში მოქმედი წესების თანახმად, გუნდს ეროვნული ჩემპიონატის მატჩში უფლება არა აქვს ორზე მეტი უცხოელი გამოიყვანოს. ასე რომ, კრუიფმა და ნეესკენსმა შეავიწროვეს სოტილი.

რჩებოდა ორი ვარიანტი: „ბარსელონის" დატოვება და სხვა რომელიმე ესპანურ კლუბში თამაში, ან ესპანეთის მოქალაქეობის მიღება და „ბარსელონაში" დარჩენა. სოტილმა მეორე ვარიანტი აირჩია.

### ბირთვი — „დოჟა უიპეშტი"

უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა ბოჟიკმა გამოაქვეყნა ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ. ბოჟიკმა ამჯობინა ნაკრებს საფუძვლად დაუდოს ერთი გუნდის შემადგენლობა. ასეთ გუნდად მან მიიჩნია „დოჟა უიპეშტი", რომლის 8 ფეხბურთელი საწვრთნელ შეკრებაზეა მიწვეული.

## თბილისი სპორტული ცხოვრება

**ჭადრაკი.** ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. 16-26 ოქტომბერი. 16 ოქტომბერს შედგება XV ტური, 17-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. 30 წთ. თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი. 16-26 ოქტომბერი. 16 ოქტომბერს გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 18 ს.

**ველოსპორტი.** ცენტრალური ველოტრეკი. სსრ კავშირის თასის გათამაშება და საერთაშორისო შეჯიბრება: „თბილისის 6 დღე". 16 ოქტომბერი. წყვილთა რბოლები (V ეტაპი), ვაჟთა რბოლები ტანდემებით (ნახევარფინალები და ფინალი), ქალთა ინდივიდუალური რბოლები (საკლასიფიკაციო სერიები და ფინალი), წყვილთა რბოლები (VI ეტაპი). დასაწყისი 10 ს. 30 წთ. და 15 ს.

**საქართველოს ალპური კლუბი** ა. წ. 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ატარებს მთამსვლელ-ინსტრუქტორთა რეგისტრაციას.

ყველა მთამსვლელი-ინსტრუქტორი ვალდებულია გამოცხადდეს საქართველოს ალპურ კლუბში (ლენინის ქ. № 37), წარმოადგინოს ინსტრუქტორის მოწმობა და რეგისტრაციაში გატარდეს.

მთამსვლელ-ინსტრუქტორებს, რომლებიც რეგისტრაციას არ გაივლიან, ჩამოერთმევათ ინსტრუქტორის წოდება და არ იქნებიან დაშვებული საწვრთნელ სამუშაოზე.

**საქართველოს ალპური კლუბი.**

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 04758